PDF Eraser Free



*დანართი №2*

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თამარ ვალიშვილი

**წევრები:**

გიული გურგენიძე

ია მოსაშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ----------

PDF Eraser Free

*თბილისი, 2020 წელი*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ----------

PDF Eraser Free

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის ბრძანების (N475683) საფუძველზე სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ დამატების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - თამარ ვალიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე), ია მოსაშვილი (ჯგუფის წევრი), გიული გურგენიძე (ჯგუფის წევრი) 2020 წლის 1 ივლისს განახორციელა ვიზიტი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თბილისის ლოკაცია).*

*ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება.*

*ვიზიტის დროს (2020 წლის 1 ივლისი) განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, გადამოწმდა დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სევისები“ დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკა, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები, მოხდა საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება, საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება, საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმების არსებული პრაქტიკის შემოწმება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, სასწავლო პროცესის ორგანიზების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.*

*ექსპერტების მიერ განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება/შემოწმება – შპს „ჩაის სახლი ქიაჩელზე“ და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “ლენდაფთი”, საწარმოო პრაქტიკაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

---

PDF Eraser Free

*ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოხდა დასკვნის პროექტში ასასახი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მიგნებების და სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის შეჯერება.*

*დასკვნის პროექტის ძირითადი მიგნებები და ძირითადი ასპექტები ექსპერტებმა გააცნეს სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას, პერსონალსა და საგნმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს.*

*სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციამ სრულად შეუწყო ხელი ექსპერტთა მუშაობას და შეუქმნა ყველა პირობა ვიზიტით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად. შედეგად ვიზიტმა მთლიანობაში ჩაიარა საქმიან და კონსტრუქციულ გარემოში.*

*იმის გამო, რომ საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა განხორციელდეს უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების მიერ, ექსპერტთა ჯგუფის ერთი წევრი წამოდგენილი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსიდან. მისი ჩართულობის მიზანს წარმოადგენდა უმაღლესი და პროფესიული სწავლების რესურსების, მარეულირებელი წესების და სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებთან  მიმართებაში მათი გამიჯვნის არსებობის დადგენა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიული სწავლების მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც დამოუკიდებელი დოკუმენტებია და არ იკვეთება სწავლების მაღალი საფეხურის პროგრამების არსებულ რეგულაციებთან. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული პროგრამების განვითარების და ახალი პროგრამების დანერგვის შესახებ თსუ-ში ასახულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში, კერძოდ, მე-5 სტრატეგიულ მიზანში - საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია. თსუ-ში ფუნქციონირებს პროფესიული განათლების ცენტრი, სადაც მხოლოდ პროფესიული პროგრამების განხორციელება მიმდინარეობს. ეს ცენტრი ფუნქციონირებს დამოუკიდებლად და შესაბამისად გამორიცხულია უმაღლესი და პროფესიული სწავლების თანაკვეთა სასწავლო ცხრილებთან და მატერიალურ რესურსთან მიმართებაში. რაც შეეხება ბიბლიოთეკას, გამოყენებულია უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული პროგრამისთვის საჭირო სახელმძღვანელოები ჩატვირთულია მათსავე სასწავლო გარემოს კომპიუტერებში. საფინანსო სერვისების პროგრამის შემუშავებაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი პრაქტიკოს მასწავლებლებთან ერთად, თუმცა ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი არეგულირებს აკადემიური პერსონალის დატვირთვებს და პროფესიულ პროგრამებში*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

*ჩართული პერსონალის დატვირთვა არ შედის მათ აკადემიურ დატვირთვაში. აღნიშნული საკითხი გადამოწმდა საფინანსო სერვისების პროგრამის მასწავლებლებთან. უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებით სარგებლობენ პროფესიული პროგრამის სტუდენტები, გარდა Erasmus+ მობილობისა, რაც საქართველოსთვის ჯერ-ჯერობით ხელმიუწვდომელია.*

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

## V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ვიზიტის დროს მოხდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება, კერძოდ,

- **რეკომენდაცია N1** – სასურველია დაწესებულების მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებეში უშუალოდ ჩანდეს რომელი პროფესიული პროგრამის, რა კონკრეტული მიზნებისთვისაა გაფორმებული ეს მემორანდუმი/ხელშეკრულება.

**შესრულების ანალიზი:** ახალ მემორანდუმებში ასახულია დეტალურად ინფორმაცია თუ რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშია გაფორმებული მემორანდუმი და რა მიზნით, ასევე მითითებულია სტუდენტების რაოდენობ,ა რომელიც უნდა მიიღოს ორგანიზაციამ.

- **რეკომენდაცია N2** – სასურველია კატალოგში იყოს შემდეგი ინფორმაცია: დაწესებულების შესახებ ინფორმაცია, რომელი წლისაა კატალოგი, სად ხორციელდება კონკრეტული პროგრამები თბილისში თუ ქუთაისში, პროგრამების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად საკონტაქტო პირის ან პროგრამის ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი, დაანონსებული პროგრამების (მიუხედავად იმისა, რომ კატალოგის პირველ გვერდზე მითითებულია) აღწერილობით ნაწილშიც ჩანდეს , რომ ეს პროგრამები ჯერ არ ხორციელდება.

**შესრულების ანალიზი:** კატალოგში მითითებულია ყველა ის პროფესიული პროგრამა რომელიც ხორციელდება თსუ-ში დეტალური აღწერილობით, ასევე არის მითითებული პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.

- **რეკომენდაცია N3 – სასურველია ქ. ქუთაისის მსგავსად, სასწავლო პროცესის მართვის პორტალი ამოქმედდეს იმ მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის დასაგეგმად და წარსამართად, რომლებიც ქ.თბილისში ხორციელდება.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

**შესრულების ანალიზი:** ესტონელი პარტნიორების (ესტონეთის პროფესიული განათლების ცენტრი „Ida-Virumaa kutsehariduskeskus“) ჩართულობით დაიგეგმა და მუშაობა დაწყებულია ახალი ელექტრონული სისტემის შექმნაზე რომელიც მოემსახურება პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის ორგანიზებას და წარმართვას.

- **რეკომენდაცია N4 – სასურველია უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე ველში „პროფესიული განათლება“ გარდა განტავსებული ინფორმაციისა, თავმოყრილი იყოს პროფესიული სწავლებასთან დაკავშირებული ყველა მარეგულირებელი წესი და დებულება.**

**შესრულების ანალიზი:** თსუ-ს ახალი ვებ-გვერდის სტრუქტურაში პროფესიულ განათლებას აქვს საკუთარი გვერდი სადაც არის წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული პროგრამების მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. ვებ-გვერდი არის სატესტო რეჟიმში და მისი გაშვება იგეგმება უახლოეს მომავალში.

- **რეკომენდაცია N5 – სასურველია უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედი გეგმებში პროფესიული განათლების კუთხით ცალკე ქვესტრატეგიის ჩამოყალიბება, რადგან მიგვაჩნია, რომ დაწესებულება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს პროფესიული განათლების განვითარებისათვის.**

**შესრულების ანალიზი:** 2019 წლის ივნისში შეიქმნა უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - „თსუ პროფესიული განათლების ცენტრი“, რომელსაც დაევალა თსუ-ში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. ცენტრი საკუთარ საქმიანობას წარმართავს თბილისსა (მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N2, N11, ილია ჭავჭავაძის გამზ. N11[1]) და ქუთაისში (მისამართი: ნიკეას მე–2 შესახვევი N 8). პროფესიული განათლების ცენტრს აქვს ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა, ასევე მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილია პროფესიული პროგრამების სუბსტრატეგიის შემუშავება და ახალი მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმების დამტკიცება.

- **რეკომენდაცია N8 – რეკომენდირებული პროფესიულ განათლებაში მიმდინარე დინამიურ პროცესებზე დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ გადახედოს პროგრამების დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცების გართულებულ პროცედურებს, გახადოს უფრო მოქნილი და ოპერატიული.**

**შესრულების ანალიზი:** თსუ პროფესიული განათლების ცენტრის შექმნის შემდეგ გადამუშავდა და ახლიდან დამტკიცდა პროფესიული პროგრამების მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული პროგრამების შემუშავებას ახდენს თსუ პროფესიული განათლების ცენტრი ხოლო მათი დამტკიცება ხდება რექტორის ბრძანებით თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2.1.1. არსებული მატერიალური რესურსი უნდა იყოს მოყვანილი შესაბამისობაში პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსთან და მოხდეს მისი განხორციელების ადგილზე სრული მობილიზება..2.1.1. არსებული მატერიალური რესურსი უნდა იყოს მოყვანილი შესაბამისობაში პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსთან.

2.3.1.1 რეკომენდირებულია პროგრამის შეფასების მექანიზმის გაწერა პროცედურის სახით;

2.4.1.1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დადგენილება (დადგენილება 94, 22.07. 2019, მუხლი 15, პუნქტი 5) საჭიროებს კორექტირებას.

2.4.2.2. უნდა გაიწეროს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის პროცედურა

2.4.2.3. რეკომენდირებულია პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს პროცედურა, რომელიც უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, შეფასების უწყისის წარმოებას, შენახვას კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

განვითარების რეკომენდაცია:

2.3.1.3. შედეგების სრულყოფილად მიღწევის მიზნით, რადგან „ალტას“ დემო ვერსიით სრულყოფილად ვერ ხერხდეება უნაღდო ანგარიშწორებას და სადეპოზიტო მომსახურებას რეალიზება, სასურველია რომ საწარმოო პრაქტიკის გარკვეული მონაკვეთის გავლა მოხდეს უშუალოდ ბანკში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | რექტორის ბრძანება N97/01–01(01/06/2020) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40 პროფესიული სტუდენტი,<br>თბილისი, უნივერსიტეტის ქ.,2 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | ___ |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | ___ |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 51 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | ___ |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის | 66 კრედიტი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ----------

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | **სრული 3** | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | **მეტწილი 2** | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free


## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ----------

PDF Eraser Free

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის შესაბამისად, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით, თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის 2020 წლის 12 მარტის N03/127-01 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტები. სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევები პროფესიული განათლების მიმართულებით; საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია; საქართველოში პროფესიული განათლების მხარდაჭერის მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების (GIZ, UNDP) ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია და სხვ. შემდეგ სამუშაო ჯგუფმა სხვადასხვა სანდო წყაროზე დაყრდნობით, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და გაანალიზების შემდეგ, ასევე თსუ-ში შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის არსებობის საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელება, რადგან მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე კურსდამთავრებულებს ექნებათ დასაქმების ფართო არეალი და ამ მიმართულების კვალიფიცირებულ სპეციალისტებზე შრომის ბაზარზე მოთხოვნა დიდია; საგანმანათლებლო პროგრამას ყავს დარგის სპეციალისტი ხელმძღვანელი, პროგრამის თითოეულ მასწავლებელს აქვს შესაბამისი კომპენტენცია და უნარი, რომელიც საკმარისია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მაღალი კლასის სპეციალისტების მოსამზადებლად. პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელთა დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; თსუ-ში პროფესიული პროგრამისთვის გათვალისწინებული A და B გარემო სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის მოთხოვნებს; საგანმანათლებლო პროგრამაზე დაგეგმილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. სამუშაო ჯგუფმა სხვადასხვა სანდო წყაროზე დაყრდნობით, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და გაანალიზების შემდეგ, ასევე თსუ-ში შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის არსებობის საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელება. შემდგომ სამუშაო ჯგუფმა წარუდგინა პროგრამა თსუ–ს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგები ასახულია შესაბამის ოქმებში. თსუ–ს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადასცა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წერილობით დადებითი დასკვნის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ დამტკიცდა თსუ რექტორის მიერ N97/01-01 01.06.2020 ბრძანებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

   პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. ამასთან, დაწესებულია ასაკობრივი ზღვარი (არანაკლებ 17 წელი). აპლიკანტი პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზაღვრული პროცედურების გავლის შემდეგ.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

   თსუ-ში შემუშავებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C (საჭიროების შემთხვევაში) სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, მეთოდოლოგია ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ პროფესიულმა პროგრამამ შესაძლებელია იმუშაოს ორ ცვლაში. პროფესიული პროგრამის "საფინანსო სერვისები" A–B გარემო იძლევა შესაძლებლობას ერთ ცვლაში ისწავლოს 20 პროფესიულმა სტუდენტმა, ორ ცვლაში 40 პროფესიულმა სტუდენტმა.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

   საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭირო სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი, რაც ასახულია პროგრამის დანართში N4. - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, ხოლო თითოეულ მოდულში წარმოდგენილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სასწავლო რესურსები. თსუ პროფესიული განათლების ცენტრი და თსუ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს აღნიშნული რესურსების ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისათვის.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;** საგანმანათლებლო პროგრამაში "საფინანსო სერვისები" არჩევითი მოდულები არ არის წარმოდგენილი.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება თსუ რექტორის მიერ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საფინანსო სერვისები" დამტკიცებულია თსუ რექტორის ბრძანებით (2020 წლის 1 ივნისის ბრძანება №97/01-01).

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროგრამის სახელწოდებაა "საფინანსო სერვისები". აღნიშნული სახელწოდება სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე მისაღწევ სწავლის შედეგებს.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

საგანმანათლებლო პროგრამა "საფინანსო სერვისები" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის "საფინანსო სერვისები" (სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ) საფუძველზე. ამასთან, ის შესაბამისობაშია თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესთან და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან.

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / BasicVocational Qualification in Finance Services (კვალიფიკაციის კოდი – 0412), პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შეიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 51 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის (პროგრამის ხანგრძლივობა - 9 სასწავლო თვე), პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 66 კრედიტი (პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 12 სასწავლო თვე).

ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს 6 ზოგადი მოდულს 16 კრედიტის მოცულობით (ინფორმაციული წიგნიერება 1 – 3 კრედიტი, ინტერპერსონალური კომუნიკაცია – 3 კრედიტი, რაოდენობრივი წიგნიერება – 2 კრედიტი, ინგლისური ენა – 4 კრედიტი, მეწარმეობა 1 – 2 კრედიტი, სამოქალაქო განათლება – 2 კრედიტი) და 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 35 კრედიტის მოცულობით (გაცნობითი პრაქტიკა -



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

საფინანსო სერვისები – 1 კრედიტი, ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები – 2 კრედიტი, სერვის პლუსი – 1,5 კრედიტი, სალაროს ოპერაციების განხორციელება – 3,5 კრედიტი, ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება – 4 კრედიტი, ანგარიშის გახსნა-დახურვა – 4 კრედიტი, სწრაფი ფულადი გზავნილები – 1 კრედიტი, უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები – 4 კრედიტი, სადეპოზიტო მომსახურება – 4 კრედიტი, რედიტო პროდუქტები – 2 კრედიტი, საკრედიტო პროდუქტები – 2 კრედიტი, დისტანციური საბანკო მომსახურება – 1,5 კრედიტი, სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი – 3 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები – 3,5 კრედიტი).

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით №64/2019 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №95/2019 დადგენილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №94/2019 დადგენილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
- რექტორის 2020 წლის 1 ივნისის N97/01-01 ბრძანებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმების დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამით "საფინანსო სერვისები" და პროგრამის თანმდევი დანართებით;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის N03/127-01 12.03.2020 ბრძანებით თსუ-ში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით, პროგრამების შერჩევის, დაგეგმვისა და შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის ანგარიშით;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალთან გასაუბრებით;

**შეფასება:**

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია თსუ-ს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, (როგორც A, ისე B გარემოს ინფრასტრუქტურა) მისამართი - თბილისი, უნივრსიტეტის ქ.2. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 20 პროფესიული სტუდენტი, ორი ცვლის შემთხვევაში - 40 პროფესიული სტუდენტი).

პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით თსუ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შპს „ჩაის სახლი ქიაჩელზე“ და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “ლენდაფთან”, რომელთა მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას (რაც დადასტურდა საწარმოო პრაქტიკის ვიზუალური დათვალიერებით და პრაქტიკულ კომპონენტზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით.

საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელება იგეგმება შემდეგ მისამართზე: თბილისი, უნივერსიტეტის ქ.2 (A-B - გარემო). საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილია სავალდებულო მატერიალური რესურსი:

| № | დასახელება | რაოდენობა | საზომი ერთეული |
|---|---|---|---|
| 1. | პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) | 40 | კომპლექტი |
| 2. | პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და დასკამი) | 1 | კომპლექტი |
| 3. | კომპიუტერი | 20 | კომპლექტი |
| 4. | კომპიუტერი (მასწავლებლის) | 1 | კომპლექტი |
| 5. | დაფა | 1 | ცალი |
| 6. | პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება | 1 | ცალი |
| 7. | პრინტერი (კომბაინი) | 1 | ცალი |
| 8. | ლუპა | 6 | ცალი |
| 9. | ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი | 1 | ცალი |
| 10. | შტამპები (ნომრიანი,სახელობითი,სალარო) | 6 | ცალი |
| 11. | ფულის სათვლელი მანქანა | 1 | ცალი |
| 12. | საინკასაციო ჩანთის მულაჟი | 1 | ცალი |
| 13. | ფასეულობებისთვის ქისის მულაჟი | 1 | ცალი |
| 14. | ბანდეროლის მულაჟი | 1 | კომპლექტი |
| 15. | ფულისა და სხვა ფასეულობების მულაჟი | 6 | კომპლექტი |
| 16. | ფულის რეზინა | 1 | შეკვრა |
| 17. | დასალუქი საშუალების მულაჟი | 1 | შეკვრა |
| 18. | მულაჟი ქაღალდი ფულის შესაფუთად | 1 | შეკვრა |
| 19. | ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების აღრიცხვის ჟურნალი | 1 | ცალი |
| 20. | ზედსადების მულაჟი (ფულის ფორმირებისთვის) | 1 | შეკვრა |
| 21. | ფასმაჩვენებელი | 1 | შეკვრა |
| 22. | ფლეშ-მეხსიერება | 1 | ცალი |
| 23. | შტამპები (ტვიფრებით: ნომრით, „განაღდებულია“, „არ ექვემდებარება | 6 | ცალი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

| | | | |
|---|---|---|---|
| | დაბრუნებას“, „ასლი დედანთან სწორია“) | | |
| 24. | გამომთვლელი | 1 | ცალი |
| 25. | მელანი შტამპებისათვის | 1 | ცალი |

ვიზიტის დროს პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსებიდან ადგილზე ვერ იქნა დადასტუებული შემდეგი მატერიალური რესურსი: ლუპა (6 ცალი). ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი, შტამპები (ნომრიანი,სახელობითი,სალარო) (6 ცალი), ფულის სათვლელი მანქანა, საინკასაციო ჩანთის მულაჟი, ფასეულობებისთვის ქისის მულაჟი, ბანდეროლის მულაჟი, ფულისა და სხვა ფასეულობების მულაჟი (6 ცალი), ფულის რეზინა, დასალუქი საშუალების მულაჟი, მულაჟი ქაღალდი ფულის შესაფუთად, ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების აღრიცხვის ჟურნალი, ზედსადების მულაჟი (ფულის ფორმირებისთვის), ფასმაჩვენებელი, ფლეშ-მეხსიერება, შტამპები (ტვიფრებით: ნომრით, „განაღდებულია“, „არ ექვემდებარება დაბრუნებას“, „ასლი დედანთან სწორია“) (6 ცალი), გამომთვლელი მელანი შტამპებისათვის.

დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იყო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელის მოთხოვნა თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან მატერიალური რესურსის შეძენასთან დაკავშირებით (N7206/10, 10.06.2020წ). დამატებით იყო წარმოდგენილი თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი (N8230/10; 29.06.2020წ) სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. აღნიშნულია, რომ „ადგილობრივი, არსებული რესურსებით შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მე–4 პოზიცია (ფლეშ–მეხსიერება – 16GB), მე–5 პოზიცია (ფლეშ–მეხსიერება 32 GB); რაც შეეხება მე–15 პოზიციას (ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების აღრიცხვის ჟურნალი), 21–ე პოზიციას (ფულის რეზინა), 25–31 პოზიციებს (შტამპები), „მულაჟები“, ფულის სათვლელი მანქანა, დეტექტორი – მიმდინარეობს ბაზრის კვლევა შესყიდვების სავარაუდო ღირებულების დასადგენად და ტენდერის განსახორციელებლად. და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით შესყიდვების განხორციელება დამოკიდებულია ბაზრის კვლევის შედეგებზე და მის განხორციელებას ესაჭიროება 30–35 დღე“. საკითხის დამადასტირებელი დოკუმენტაცია ახლავს დასკვნას დანართების სახით.

პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით (მოთხოვნის შესაბამისად) პროგრამისათვის ყველა საჭირო მატერიალური რესურსი შეძენილი იქნება 1 თვის განმავლობაში თსუ–ს მიერ.

აღნიშნული დოკუმენტაციის არსებობა ადასტურებს დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო რესურსის შეძენის მზაობას.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროგრამა ქ. თბილისში ხორციელდება 14 შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდლების მქონე მასწავლებლით, (აქედან, 7 მასწავლებელი განახორციელებს ზოგად მოდულს, 7 მასწავლებელი – პროფესიულ მოდულს).. პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

   პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი პროფილის პროფესიული მასწავლებლებით, რომელთა კომპეტენცია დასტურდება მათი კვალიფიკაციით და/ან პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიულ მასწავლებლებს უტარდებათ ტრენინგები და კონსულტაციები შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით, როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ ფორმატში.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

   თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის შესაბამისად პროფესიულ პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი - თსუ ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ფინანსებისა და საბანკო საქმის მიმართულებით სწავლების მრავალწლიანი გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას პასუხისმგებელია მის შესაბამისობაზე ჩარჩო დოკუმენტთან; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების განმავლობაში მისი სრულყოფის მიზნით კოორდინირებულად მუშაობს თსუ პროფესიული განათლების ცენტრთან და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ , თსუ პროფესიულ განათლების ცენტრში წარმოადგენს ანგარიშს, სადაც უნდა იყოს ასახული პროგრამის განვითარების რეკომენდაციები. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები დეტალურად გაწერილია მასთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

   თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრი და თსუ-ს ბიბლიოთეკა უზრუნველყოფენ თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის შეუფერხებელ ხელმისაწვდომობას საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულებით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსზე და მათ გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

   თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს სპეციფიკის განსაზღვრა მათი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და მოდულს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სსსმ პირების მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პორცესში, მათ შორის ხელმისაწვდომობას ადაპტირებულ სასწავლო რესურსებზე. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუ პროფესიული განათლების ცენტრის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

საგანმანათლებლო პროგრამაზე "საფინანსო სერვისები" გათვალისწინებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა (ერთ ცვლაში 20 პროფესიული სტუდენტი), პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება და აპლიკანტთა მხრიდან თსუ-ს პროფესიული პროგრამებისადმი მაღალი ინტერესი, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული პროგრამის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 8 პროფესიულ სტუდენტს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ ბიბლიოთეკის დებულებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წლიური ბიუჯეტით;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №94/2019 დადგენილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო

პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;

- პროგრამის დანართით № 3 (პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი);
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით/ ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ;
- ადამიანურ რესურსთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებებით;
- მასწავლებლებთან გამართული შეხვედრების დასწრების ფურცლებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან გასაუბრების;

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.**

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**
2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

თსუ-ში პროფესიული პროგრამების შეფასება და განვითარება რეგულირდება თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესით“. <u>უნდა აღინიშნოს, რომ ამ წესის მე-13 მუხლი, რომელიც ეხება მოქმედი პროფესიული საგანამათლებლო პროგრამების შეფასებას, არის წარმოდგენილი ძალიან მოკლედ და პროგრამის შეფასების მექანიზმს არ აღწერს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციის წარმომადგენელთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლებელი სტუდენტების და პედაგოგების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, დაინტერესებული მხარეების აზრის გათვალისწინებით ხდება პროგრამის შეფასება, თუმცა შეფასების მექანიზმის კრიტერიუმები, ოფიციალურად გაწერილი რომელიმე ნორმატიულ დოკუმენტში, წარმოდგენილი არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი გამოთქვამს მზაობას პროგრამის შეფასების დეტალური მექანიზმის შემუშავების და არსებულის დახვეწის შესახებ.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებული მუშაობით, რაც დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრებით. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, თსუ პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები) გამოკითხვას. ასევე, ამ მიმართულებით თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება ხორციელდება როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ კოლეგებთან. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ერთი ცენტრალიზებული პროგრამის შეფასების მექანიზმი, პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სწორი ხედვა პროგრამის შეფასების შესახებ, კერძოდ, აღინიშნა, რომ პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების  და დამსაქმებლების პერიოდული გამოკითხვების შედეგების საფუძველზე, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მიღებული რჩევების და რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოხდება პროგრამის შეფასება და საჭიროებისამებრ მისი განვითარება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობით შექმნასა და მის მოდიფიკაციზე. ასევე, პროგრამის ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ ის წარმოადგენს ანგარიშს სადაც ასახული უნდა იყოს პროგრამის განვითარების რეკომენდაციები. აღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან დადებული წინარე შრომითი ხელშეკრულებით, სადაც მას ევალება პროგრამის შეფასება და განვითარება.

თსუ-ს საქართველოში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვს, რაც გამოიხატება ერთობლივი სამუშო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარებით. სადაც ხდება  გამოცდილების გაზიარება, ახალი იდეების გენერირება და შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით სასწავლო პროცესში ახალი მიდგომების დანერგვაზე მსჯელობა. ასევე, თსუ აქტიურად თანამშრომლობს ესტონეთის პროფესიული განათლების ცენტრებთან მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით. პროგრამის ხელმძღვნელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ როგორც ამ პროგრამის შემუშავების, ასევე მისი შემდგომი განვითარებისათვის, ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნების და სიახლეების გაცნობა და პროგრამაში მისი გენერირება და/ან მსჯელობა სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელის გამოცდილება უცხოელ პარტნიორებთან, იძლევა მათი გამოცდილების პროგრამის ფარგლებში გაზიარების შესახებ, კერძოდ, დასახელდა ფრანგული ბანკების გამოცდილების გაზიარება, რომლებთანაც ქართული ბანკები თანამშრომლობენ.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, იდენტიფიცირებული სუსტი და ძლიერი მხარეების, ასევე, გასაუმჯობესებელი მიმართულებებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მითითებით ანგარიშს წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს და თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. პროფესიული განათლების ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებებისთვის საჭირო პროცედურების განხორციელებას. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ახალი შემუშავებულია და აქამდე ამ უნივერსიტეტის მიერ არ ყოფილა განხორციელებული, შესაბამისად, ჯერ გამოკითხვები ამ პროგრამის შესახებ და მით უფრო მისი ანალიზი, არ შეიძლება ყოფილიყო ჩატარებული. თუმცა სხვა პროგრამებზე არსებული გამოცდილებით, უნივერსიტეტში ასეთი პრაქტიკა აქვს დანერგილი, რაც დასტურდება გასაუბრებების შედეგადაც.

2019 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე  პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრებზე გამოკვეთილი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცვლილებები შევიდა თსუ-ში 2019 წლის შემოდგომის მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში. კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ პროფესიული მასწავლებელები არიან პრაქტიკოსები, რომლებიც სხვაგანაც მუშაობენ, მათი მოთხოვნა იყო ნაკლები კვირეული დატვირთვა. უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულ იქნა მათი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით და შემდგომი მიღების სასწავლო გეგმებში გაიზარდა მოდულის განხორციელების ვადები, რამაც შეამცირა პრაქტიკოს პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვა, რომელთა შედეგები გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ეს გამოკითხვა მიმდინარეობს სხვა პროგრამების ფარგლებში, რომელსაც უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული მიმართულებით. წარმოდგენილია მასწავლებლის და სტუდენტის კითხვარების ფორმები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ აკადემიური საბჭოს  დადგენილებით №64/2019 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების  კითხვარებით;
- პარტნიორ დაწესებულებებთან შეხვედრების დასწრების ფურცლებით;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებით;
- ინტერვიუებით.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.**

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**
2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**
3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**
4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**
5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**
6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროფესიული პროგრამა „საფინანსო სერვისები“ მოიცავს დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, რომლის საფუძველზეც განხორციელდება სასწავლო პროცესი.

სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია თსუ-ში 2018 წელს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხოციელებიდან მიღებული პრაქტიკული გამოცდილება და მასწავლებელთა დატვირთვის რეალური შესაძლებლობები. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კალენდარული გეგმის შემუშავების ვალდებულება მოდულის დაწყებამდე. კალენდარული გეგმის განახლებული ფორმა დამტკიცდა 2019 წლის დეკემბერში მასწავლებლებთან აქტიური კომუნიკაციის შემდეგ.

<u>არსებული სასწავლო გეგმა უზრუნველყოს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის, პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დადგენილებაში (დადგენილება 94, 22.07. 2019, მუხლი 15, პუნქტი 5) შემდეგი ჩანაწერი - „იმ შემთხვევაში თუ მოდულის წინაპირობაა წინა მოდულის დაძლევა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოდულზე სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაიშვას მომდევნო მოდულზე, სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, თუ ამ პერიოდში არ დგება მოცემული მოდულის თუნდაც ერთი სწავლის შედეგის დადასტურების საკითხი“ არ შეესაბამება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეალურ მოცემულობას და საჭიროებს კორექტირებას.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას, სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით რეაგირებს მათ ინტერესებზე და საჭიროებებზე.

ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტები ავსებენ ონლაინ კითხვარს, რომელიც არის ანონიმური და პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შეაფასოს მოდულის განხორციელების ეფექტიანობა, მასწავლებლის ჩართულობის დონე, კალენდარული გეგმის შესრულების დინამიკა, შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურობა, რესურსების ხელმისაწვდომობა და დატოვოს საკუთარი მოსაზრება/რეკომენდაცია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. რეგულარულად ხდება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრები და მეცადინეობებზე დასწრება. შეხვედრებიდან და გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

საფინანსო სერვისების პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე გამოიყენება საბანკო მომსახურების შემსწავლელი თანამედროვე კომპიუტერული პროგრამა „ალტა“. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური წვდომა საგანამანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით პროფესიული მასწავლებელი იყენებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს, პროფესიულ სტუდენტებს დამატებით აწვდის ჰენდაუთებს სასწავლო მასალის უკეთ ათვისებისათვის. <u>თუმცა შედეგების სრულყოფილად მიღწევის მიზნით, რადგან „ალტას“ დემო ვერსიით სრულყოფილად ვერ ხერხდეება უნაღდო ანგარიშწორებას და სადეპოზიტო მომსახურებას რეალიზება, სასურველია რომ საწარმოო პრაქტიკის გარკვეული მონაკვეთის გავლა მოხდეს უშუალოდ ბანკში.</u>

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისთვის პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულ(ებ)ს და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის, პროგრამის/მოდულ(ებ)ის სასწავლო გარემო ადაპტირებულია. ასევე სხვა ტიპის საჭიროებების გამოვლენისას თსუ პროფესიული განათლების ცენტრი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობით უზრუნველყოფს მათზე შესაბამის რეაგირებას.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტებში შესაბამისი პრაქტიკული უნარების განვითარებას როგორც სავაჭრო, ასევე საბანკო სერვისების მიმართულებით. საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად თსუ-ს გაფორმებული აქვს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

მემორანდუმები შპს „ჩაის სახლი ქიაჩელზე“ და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “ლენდაფთან”. ამ ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებში საწარმოო პრაქტიკით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროფესიული პროგრამა „საფინანსო სერვისები“ განსაკუთრებულ მიდგომებს უსაფრთხოების დაცვაზე არ საჭიროებს. თსუ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური სხვა შესაბამის დეპარტამენტებთან/სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამით “საფინანსო სერვისები”;
- პროგრამის სასწავლო გეგმით თანდართული მოდულებით;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №94/2019 დადგენილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით №64/2019 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ
- თსუ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებით;
- თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის N 01/127-01 (26.11.2020) ბრძანებით კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტის და უწყისის ფორმის დამტკიცების შესახებ;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**
2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**
3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**
4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დეტალურად არის გაწერილი პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურა, ხოლო შეფასების ინსტრუმენტის ფორმა ითვალისწინებს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის მიერ ინსტრუმენტის შეთანხმების პროცედურას. შეფასების ინსტრუმეტის შეთანხმება ხდება თსუ პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან. რამდენადაც აღნიშნულმა პროცედურებმა შესაძლებელია სრულად ვერ უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა, პროფესიული განათლების ცენტრი გეგმავს შეიმუშაოს რეგულაცია, რომლის მიხედვით შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს შეითანხმებს დარგის სპეციალისტი და თსუ პროფესიული განათლების ცენტრის პირველი მოადგილე/სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მის ვერიფიკაციას გააკეთებს დარგის მასწავლებლებთან ერთად. აღნიშნული რეგულაციის შემუშავება დაგეგმილია არა უგვიანეს 6 თვის პერიოდში.

რაც შეეხება შეფასების სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას ის უზრუნვეყოფილია თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პრცესის მარეგულირებელი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმის განახლებული ფორმებით, კალენდარული გეგმის შესრულების პროცესზე დაკვირვებით, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებით და პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაცით.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია მოიცავს შემდეგი მოქმედებების განხორციელებას: შეფასების ინსტრუმეტის შექმნის პროცესში მოდულის მასწავლებელი ვალდებულია შეფასების ინსტრუმენტი შექმნას მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნების, კალენდარული გეგმით გაწერილი მიმართულებების შესაბამისად და შეათანხმოს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, რის შემდეგაც ის დასრულებული სახით ხვდება პროფესიულ სტუდენტთან. შეფასების ინსტრუმენტების შექმნის პროცესში საჭიროებისამებრ ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი.

დასრულებული შეფასების ინტრუმეტების შენახვასა და მათ მონიტორინგს უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი/პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმის მწარმოებელი მენეჯერი. პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნვეყოფის მენეჯერის მიერ პერმანენტულად, თითოეული პროფესიული საგანმათლებლო პროგრამის მიხედვით, პროგრამის ხელძღვანელისა და მოდულების განმახორცილებელი მასწავლებელების ჩართულობით ხდება შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია.

ასევე, დაგეგმილია შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია სხვა პარტნიორ პსდ-თან თანამშრომლობით. <u>ზემოთ მოხსენიებული ვერიფიკაციის მექანიზმი არ არის გაწერილი პროცედურის სახით; თსუ პროფესიული განათლების ცენტრი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის პროცედურას შემუშავებას გეგმავს არა უგვიანეს 6 თვის პერიოდში.</u>

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

თსუ-ში დოკუმენტების აღრიცხვა და შენახვა წარმოებს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესის“ მიხედვით.

თსუ პროფესიული განათლების ცენტრი დამატებით, პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუავებს პროცედურას, რომელიც უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. ასევე, შეფასების უწყისის წარმოებას, შენახვას კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნული პროცედურა შემუშავდება არა უგვიანეს 6 თვის პერიოდში.

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

პროფესიული სტუდენტების დადასტურებული შეფასებების ინსტრუმენტების შესწავლისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გამართული შეხვედრების ანალიზის საფუძველზე შეიცვალა შეფასების ინსტუმეტისა და კალენდარული გეგმების ფორმები, რამაც ხელი შეუწყო მასწავლებლებს უფრო ეფექტიანად დაგეგმონ და განახორციელონ შეფასების პროცესი. მასწავლებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედეგების გაცნობას ახორციელებს ინდივიდაუალურად ხოლო პროფესიული სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში ჯგუფშიც. მიღწეული სწავლის შედეგების გაცნობით იგეგმება შემდგომი ნაბიჯები სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისა და დაძლევისთვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №94/2019 დადგენილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით №64/2019 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ;
- თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ადამიანური რესურსის სამუშაო აღწერილობებით;
- თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის N 01/127-01 (26.11.2020) ბრძანებით კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტის და უწყისი ფორმის დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული სტუდენტების კითხვარით;
- პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრების დასწრების ფურცლებით.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------- ----------

PDF Eraser Free

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

## X. თანდართული დოკუმენტაცია

15/07/2020წ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
---------- ----------